ნანა აფაქიძე

მარტოობის სიცილი

თბილისი 2024 წელი

რაც უფრო იზრდები, მით უფრო ბუნდოვანი ხდება ,,მინდას'' ცნება და შესაძლებლობების კოლექცია სიტყვებს კარგავს.

პროლოგი

დაბადებიდანვე... არა ვიტყუები. სიმართლე ის არის, რომ სუბიექტურად თუ ობიექტურად არ ვიცი როგორ აღვიქვამდი სამყაროს, როდესაც დამოუკიდებლად სუნთქვა დავიწყე, არ ვიცი რას ვგრძნობდი ან რას შევიგრძნობდი... უბრალოდ ვიცი, რომ თავისუფალი ვიყავი.

როდესაც პასუხისმგებლობების სიამ თანდათან დაიწყო თავისუფლების რეკონსტრუქცია, სწორედაც მაშინ დაილანდა მარტოსულობის განცდა, რომელიც თანდათანობით მკაფიო ხდებოდა.

როცა იაზრებ, რომ გარშემო უამრავი ადამიანი გყავს, ვისაც უყვარხარ, ზრუნავენ შენზე და პასუხისმგებლობების წინაშე მარტო არ გტოვებენ, შენ კი პასუხობ სურვილით, რომ უსიტყვოდ გაგიგონ _ ამით შენს შიგნით ზრდი შხამიან მცენარეს, რომელსაც ეკლების ნაცვლად ენა და პირი აქვს, რომელიც გიმეორებს თუ როგორი უმადური ხარ.

მარტოობა მარტოსულობაზე უარესი ყოფილა...

პირველი ისტორია

0



I თავი

დილით მზის სხივების ჩახუტება შევიგრძენი თუ არა გამომეღვიძა. ბალიში ნახევრად მარილიანი წყლით იყო სველი. რომელიც ჩემმა რუტინულმა სიზმარმა გამოიწვია...

_დილა მშვიდობისა! _ ოთახში შემოვიდა ნატიფი გარეგნობის შავგვრემანი ექთანი ქალი, რომელსაც თბილი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

_დილა მშვიდობისა! _ ღიმილით მივესალმე მეც. უცებ ღიმილმა დამტოვა, როდესაც ექთანმა საწოლის წინ მდგარი ეტლი გამოაგორა.

_ხომ იცი, რომ ეს დროებითია. ეს ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რათა მისი დროებითობის ვადა უფრო შემცირდეს.

საპასუხოდ ღიმილით დავუქნიე თავი, რადგან სიტყვებს ყელში გაჭედილი სევდის ბურთი ცრემლებად არ ექციათ.

ექთანმა სევდის გასაფანტად მშვიდი და გულწრფელი თვალებით, ასევე ღიმილით, შემომხედა. _ ვარჯიშის დროა!

მიყვარს მზის სხივი, რომელიც ოთახში შემოიპარება, რათა ადამიანის სულს ჩაწვდეს და მისი გული ნათელი იმედებით გაათბოს. მიყვარს მზის ამოსვლა და ჩასვლა, შუადღის მზე კი ჩემთვის ზედმეტად ნათელი და ცხელია.

ზოგჯერ დაძინების მეშინია! როგორც კი თვალებს ვხუჭავ სიბნელეში სიკვდილს ვხედავ. ის შეიძლება თეთრი იყოს ან იმაზე მუქი ვიდრე სიბნელე.

ვარჯიშის მერე, როგორც მჩვევია, შენობის სახურავზე ‘ავედი’, სადაც მარტუსულობას და უკვე მარტოობას ვესაუბრები.

ნეტა მზის ჩასვლა ასეთი სასიამოვნო და სევდიანი რატოა? ...ყოველთვის ასეა. თითქოს სიბნელე სინათლეში იჭრება და უამრავ ლამაზ ფერად გარდაქმნის. ნუთუ ჩემ თვალებშიცაა ამდენი ლამაზი ფერი?!